ტექნიკური დავალება

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი #2 და #3-ის შენობების გადახურვების მეტალოკონსტრუქციების გამაგრებით და სარემონტო სამუშაოებზე

1. განმარტებითი ბარათი

შპს „ვარციხე 2005“-ის ჰესის შენობის ძირითადი სამანქანო დარბაზის ზომებია 50 მ x 17,6 მ; საპროექტო გადაწყვეტილებით, მშენებლობის პროცესში, ძირითად სამანქანო დარბაზს აგრეგატების მონტაჟისა და შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის სამონტაჟო მოედნის შექმნის მიზნით გაუკეთდა მარჯვენა მინაშენი, რომლის ზომებია 10 მ x 17,6 მ;

როგორც ჰესის ძირითადი შენობის სამანქანო დარბაზი, ასევე „მარჯვენა მინაშენი“ თითოეულ ჰესზე ექსპლუატაციაში ჰესის ექსპლუატაციაში შესვლისას;

ძირითადი სამანქანო დარბაზი და მარჯვენა მინაშენი მოექცა ერთ სახურავში, რომელმაც შექმნა ერთი მთლიანი კომპლექსი - „ჰესის შენობა“, რომლის ზომებია № 1 ჰესისთვის - 60,15 მ x 17,60 მ;

ჰესის შენობების ექსპლუატაციაში შესვლიდან (1976 წ.) რამოდენიმე თვეში „მარჯვენა მინაშენსა“ (სამონტაჟი მოედანი) და ძირითად სამანქანო დარბაზს შორის გაჩნდა ბზარები, მინაშენმა განიცადა დეფორმაცია და დაჯდომა. ბზარების წარმოქმნა და დეფორმაცია ხასიათდება ძირითადი სამანქანო დარბაზისა და „მარჯვენა მინაშენის“ სახურავის უბანში.

ჰესის შენობის გადახურვის ექსპლუატაციის ვარგისიანობის და შესაძლო რისკების განსაზღვრის მიზნით ჩატარდა ელ.ტენდერი სპეციალიზირებული ორგანიზაციის გამოვლენის მიზნით, რომელიც შეასრულებდა არსებული გადახურვის მეტალოკონსტრუქციების რევიზიას და დიაგნოსტიკურ კვლევას შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაციების მომზადებით (შემდგომში საჭირო და აუცილებელი სამუშაოების ჩატარების განსაზღრის მიზნით). ტენდერის საფუძველზე გამოვლინდა სამუშაოთა შემსრულებელი - ***„შპს ინტერ გაზ სერვის ფილიალი საქართველოში“,*** რომელმაც 2025 წლის მაისში შეასრულა ინსპექტირების სამუშაოები და წარმოადგინა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

ტექნიკურ დავალებას თან ერთვის ჰესი #2-ის და ჰესი #3-ის ინსპექტირების ანგარიშები.

(იხ. დანართები: ***დასკვნა რეკომენდაციები - ჰესი #2, დასკვნა რეკომენდაციები - ჰესი #3***)

2. სამუშაოს/მომსდახურეობის ადგილმდებარეობა

დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონში წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განლაგებული ოპერირებადი ვარციხე ჰესების კასკადი, შემდგარი ოთხი იდენტური ჰიდოელექტროსადგურიდან:

- შპს „ვარციხე 2005“, **ჰესი 2** - წყალტუბოს რაიონი, სოფელი ტყაჩირი, **საკ კოდი 29.17.36.450;**
- შპს „ვარციხე 2005“, **ჰესი 3** - წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი, **საკ კოდი 29.16.35.014;**

3. სამუშაოების მოცულობა

1. შედუღების ნაკერების აღდგენა და განმტკიცება – სამუშაოები მოიცავს გამოტოვებული ან უხარისხოდ შესრულებული შედუღების ადგილების შემოწმებას, დეფექტების აღმოფხვრას და დამატებითი გამამაგრებელი შედუღების შესრულებას, სტრუქტურული დატვირთვების ეფექტურად გადანაწილებისთვის.
2. M22 ტიპის მაღალი გამძლეობის ბოლტების მონტაჟი – კვანძების საექსპლუატაციო სიძლიერის გასაზრდელად, დამატებითი მაღალი სიმტკიცის ბოლტების მონტაჟი და მათი დინამიკური დატვირთვების მიმართ მდგრადობის უზრუნველყოფა.
3. კოროზირებული ლითონის ელემენტების დემონტაჟი და ჩანაცვლება – დაზიანებული ლითონის ფურცლების და კუთხოვანი პროფილების დემონტაჟი, მათი ახალი, ანალოგიური სექციისა და პროფილის მქონე ელემენტებით ჩანაცვლება, კონსტრუქციის მთლიანობის შესანარჩუნებლად.
4. დამატებითი გამაგრებითი სამუშაოები – საჭიროების შემთხვევაში, სტრუქტურული მდგრადობის გასაუმჯობესებლად დამატებითი სტიფენერების (გამამაგრებელი პროფილები) მონტაჟი, ლოკალური სიმტკიცის დეფიციტის გამოსასწორებლად.
5. ანტიკოროზიული დამუშავება – ყველა განახლებულ ლითონის დეტალზე სპეციალური ანტიკოროზიული საფარის დატანა, რათა გაიზარდოს მათი ექსპლუატაციის ვადა და დაცულობა გარემოს მავნე ზეგავლენისგან.

(იხ. დანართები: ***დასკვნა რეკომენდაციები - ჰესი #2, დასკვნა რეკომენდაციები - ჰესი #3***)

4. მოთხოვნები შემსრულებლის მიმართ

- უზრუნველყოს ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი სამუშაოები საკუთარი ხელსაწყო-დანადგარებით პროექტის მოთხოვნის შესაბამისად;
- სახარჯი მასალების უზრუნველყოფა (საჭიროებისამებრ);
- უზრუნველყოს მუშა პერსონალი შესაბამისი დამცავი ეკიპირებით;
- უზრუნველყოს მუშა პერსონალის უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა;
- უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების პროცედურების დაცვა.
- სამუშაოების ჩატარების შემდეგ დამკვეთს უნდა გადაეცეს თითოეულ ობიექტზე სამუშაოს შესრულების აქტი (დასკვნებით და რეკომენდაციებით).
- შესრულებულ სამუშაოებზე არანაკლებ 3 წლიანი გარანტია.

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია